საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

№447 2020 წლის 5 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და კავკასიის ბუნების ფონდს (CNF) შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულებების თაობაზე

1. „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების საფუძველზე, მოწონებულ იქნეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და კავკასიის ბუნების ფონდს (CNF) შორის გასაფორმებელი შემდეგი საგრანტო ხელშეკრულებები:

ა) „მაჭახელას ეროვნული პარკი“;

ბ) „ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები“.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ხელშეკრულებებში შესაბამისი პირობების დაზუსტება, მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ან მოქმედებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების

კორექტირება, გარდა გრანტის მიღების/გაცემის მიზნის, მოცულობისა და სახსრების გამოყენების კონკრეტული მიმართულების ცვლილებისა, მის ხელმოწერამდე ან ხელმოწერის შემდგომ, გადაწყდეს ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით, საქართველოს მთავრობასთან დამატებით შეთანხმების გარეშე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**